პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
პარასკევი
21 დეკემბერი
№ 293 (17638)
ფასი 2 კაპ.

ხალხის დიდი ნდობა

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

რსფსრ

მოსკოვი

დიდი აღმავლობით ჩაიარა მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენელთა საარჩევნო კრებამ, სასწავლებლისა, რომელსაც ღირსეული წვლილი შეაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებაში.

სიტყვა ეძლევა სტუდენტს, ლენინურ სტიპენდიანტს ი. ა. როსლიაკოვს.

— ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, მეშვიდოსამასსახურეთა კოლექტივის სახელით, — თქვა მან, — წინადადება შემომაქვს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში დაასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

— პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობდეს მამების საქმეს, დიდი ლენინის საქმეს, — თქვა შემდეგ ორატორმა. — და უსაზღვროდ მადლობელი ვართ ჩვენდამი მამობრივი ზრუნვისათვის.

ამ მამობრივ ზრუნვას შრომასა და სწავლაში მოპოვებული წარმატებებით ვუპასუხებთ.

წინადადებას ლ. ი. ბრეჟნევის კანდიდატურის დასახელების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი პროფესორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. ნ. მალინინმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ლაბორატორიის გამგემ ნ. კ. კრივიაკოვმა, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რექტორმა აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. მ. პოხმელნოვამ, საამქროს უფროსმა, დიდი სამამულო ომის მონაწილემ ნ. პ. ივანოვმა, ამწყობმა კომკავშირელმა გალინა რედინამ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება დაასახელოს **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფრუნზეს საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა მოსკოვის ფერადი კინესკოპების ქარხანა „ხრომატრონში“, კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კუიბიშევის საარჩევნო ოლქში დაასახელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.**

ქალაქ მოსკოვის ვეშნიაკოვის საარჩევნო ოლქში რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვიქტორ ვასილის ძე გრიშინი,** ამის შესახებ დადგენილება მიიღეს ქარხანა „კომპრესორში“ გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე.

ლენინგრადი

ხალხმრავალი იყო წინასაარჩევნო კრება, რომელიც გაერთიანება „კიროვის ქარხანაში“ გაიმართა. ერთხმად მიღებულ დადგენილებაში კრების მონაწილეებმა ჩაწერეს: დაასახელონ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და აგრთიანების ხარატი სოციალისტური შრომის გმირი **ბორის მიხეილის ძე ვორობიოვი.**

გაერთიანება „სვეტლანაში“ გამართულ საერთო კრებაზე მიიღეს დადგენილება: დაასახელონ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლტენკური საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ანდრია პავლეს ძე კირილენკო.**

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი** და გემის ამწყობთა ბრიგადირი **ნიკოლოზ თეოდორეს ძე უშკალოვი.** ეს კანდიდატურები დაასახელეს საადმირალოს გაერთიანების კოლექტივის კრებაზე.

თ. თ. პოლზუნოვის სახელობის ენერგეტიკული მოწყობილობის კვლევისა და დაპროექტების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სმოლნის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გრიგოლ ვასილის ძე რომანოვი.**

გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის „ნევის ქარხნის“ გაერთიანების მანქანათმშენებელთა წინასაარჩევნო კრება. მისმა მონაწილეებმა დაადგინეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლტენკურ საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ანდრია პავლეს ძე კირილენკო.**

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენი გარჯის დაფასება შრომითს გმირობას შთაგვაგონებს

მოლოცვა ლოგიკური გაგრძელებაა იმ მაღალი შეფასებისა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე მიეცა ქართველ მეჩაიეთა გარჯას. საგულისხმოა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან ასეთი შეფასება პირველად მოგვეცა, და იგი ფრთას ასხამს რესპუბლიკის ყველა მიწათმოქმედსა და მეცხოველეს სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

მაღალი შეფასება აღგვაფრთოვანებს

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა საქართველოს მშრომელებს მათ მიერ მიღწეულ მაღალ საწარმოო წარმატებებთან დაკავშირებით, აღგვაფრთოვანებს, ახალი მიღწევებს შთაგვაგონებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მთელ რესპუბლიკაში გაიმართა მასობრივი მიტინგები, რომელთა მონაწილეები მაღლობას უხდიდნენ პარტიას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე განუწყვეტელი ზრუნვისათვის, აღსრულებენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს, პირობას დებენ, რომ გადააქცევენ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად.

ბათუმი. მიღწეული წარმატებების ღირსეული შეფასება, — თქვა მიტინგზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ, იმ მუდმივი ყურადღებისა და პრაქტიკული დახმარების კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი უწევენ ქართველ ხალხს, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხებს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ანანიძე, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. დოლიძე და სხვები. მათ სიტყვებში გაისმოდა სიამაყე მიღწეული წარმატებებისათვის, უსაზღვრო მადლიერება კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ცხინვალი. საზეიმო მიტინგზე გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ურჯუმელაშვილი, პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კოზაევი, ზნაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ჯიოევი, ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ა. ტემკაევა, ჯავის რაიონის ვანელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჩ. სოტიევი და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის გეგმაზომიერი, დინამიკური ზრდა მომძე რუსი, ქართველი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერის შედეგია. საქართველოს, მთელი ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი პოლიტბიუროსა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ზრუნვის პასუხად ოლქის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რესპუბლიკის საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილის გადიდების კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ.

ქუთაისი. ლითოფონის ქარხანაში გამართულ მიტინგზე მისმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მომავალ წელს გაზრდიან შაბიამნის გამოშვებას, რომელიც ასე სჭირდება სოფლის მუშაკებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვის პასუხად ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა უკვე მომდინარე წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას „რიონის“ მარკის 5 ტრაქტორი.

(საქინფორმი).

ᲬᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 11 ᲓᲦᲔ

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

გეგმა უნდა შესრულდეს

ბინები მშენებლობის წლიური პროგრამის შესასრულებლად საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 216 სახლი. მშენებლები ცდილობენ არ გატეხონ სიტყვა და შეასრულონ გეგმა. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ის ობიექტები, რომლებზეც სამშენებლო სამუშაოები ჯერ კიდევ ჩამორჩება: თბილისში, — ნუციუბიძის ქუჩაზე კ-6 ტიპის სახლი, გლდანის მასივის მესამე მიკრორაიონში (კ-3-ა) და ვაზისუბანში (კ-9), საგარეჯოში — საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ორი სახლი და კოლმეურნის საცხოვრებელი სახლები აბაშაში, ქედაში, ტყვარჩელში, ქარელში, ახალციხეში, ცხინვალში, ზესტაფონში, გაგრაში, ქობულეთში, ბათუმში, თელავში, მარნეულში, სოხუმში, მცხეთაში, ლენინგორსა და ონამირიში.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მართებთ მეტი ყურადღება მიაქციონ და დახმარება აღმოუჩინონ მშენებლებს, წლის ბოლოდე დარჩენილ დღეებში საცხოვრებლების მშენებლობაზე მოგვარონ ორ და სამ ცვლად მუშაობა, მშენებლობები უზრუნველყონ საკმაო რაოდენობის კადრებით, საშენი მასალებით.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა კანონია, და იგი უსათუოდ უნდა შესრულდეს.

(საქინფორმი).

საწარმოს ახალი წელი

თბილისი. დეკემბერს თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივში სამმოლურად ახალი წელი დადგა. როდესაც ეკონომისტებმა დღიური შრომის შედეგი შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ საწარმოს ამ დღისათვის ვადამდე შეესრულებინა მომდინარე წლის დავალება და უკვე 1980 წლის ანგარიშში მუშაობდა. 19 დეკემბრისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 24.440 ათასი მანეთის ნაცვლად წარმოებულია 24.511 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია.

როგორც ფაბრიკის დირექტორმა, რესპუბლიკის საფეიჭრო მრეწველობის დვაწლმოსილმა მუშაკმა ეკელინა თავაძემ განაცხადა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვამ დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ფეიჭართა შორისაც. მათ გადაწყვიტეს წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში დამატებით გამოუშვან მილიონ 21 ათასი მანეთის ნაწარმი.

მომდინარე წელი მიტად ნაყოფიერი გამოდგა ფაბრიკის კოლექტივისათვის. რაოდენობასთან ერთად იგი დიდ ყურადღებას უთმობდა პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასაც. ახლა ფაბრიკის 32 სახელობის ნაწარმი საპატიო ხუთიუთხედით არის აღნიშნული და მისი ხვედრითი წილი წარმოების მთლიან მოცულობაში 45,6 პროცენტს შეადგენს. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია დარგის საწარმოებს შორის. დიდი წარმატებაა მოპოვებული წარმოების ზრდის ტემპის მიმართულებითაც. ამ მაჩვენებელმა ნაცვლად წლიური გეგმით ნავარაუდევი 17,6 პროცენტის ნაცვლად 38,9 პროცენტს მიაღწია.

ახლა თბილისის ელფეიჭრები დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და დღითი დღე სულ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს. („კომუნისტის“ კორ).

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ კარგად არის ცნობილი № 1 საამწყობო საამქროს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ალექსი ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა გაერთიანების ერთ-ერთი მოწინავეა მაღალხარისხოვანი ელექტრომამონტაჟო სამუშაოების შესრულებაში და უკვე დიდი ხანია 1980 წლის ანგარიშში მუშაობს.

სურათზე: ალექსი ჯავახიშვილი (ცენტრში) და მისი ბრიგადის ახალგაზრდა წევრები — ზურაბ გიორგიშვილი (მარცხნივ) და ნიკოლოზ გიორგიშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

ᲒᲘᲚᲘᲝᲜ 373 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა წლის დასაწყისიდან კომუნისტური შრომის საწარმომ — თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ.

სურათზე: ფაბრიკის მოწინავე მეპარატე მაყვალა ნადირაძე, რომელიც უკვე 6 თვეა 1980 წლის ანგარიშში მუშაობს.

საქმიანი ინფორმაციები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲐᲜᲒᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

20 დეკემბერს კრემლში გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი და ანგოლის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაური მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუში, დელეგაციის წევრები — მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პაულუ ტ. ჟორჟი, მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანტონიუ ვან-დუნენი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში და ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი და ანგოლის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაური მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუში, დელეგაციის წევრები — მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პაულუ ტ. ჟორჟი, მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანტონიუ ვან-დუნენი.

მოლაპარაკებას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ი. მ. სამოტეიკინი, სსრ კავშირის ელჩი ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში ვ. პ. ლოგინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ნ. ჩერნიაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ვ. ა. ლიხაჩოვი;

ანგოლის მხრივ — მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე მანუელ ა. ალფრედო, მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სახელმწიფო მდივანი კულტურის დარგში ანტონინო ვასინტო, ენერგეტიკისა და მრეწველობის მინისტრი ალბერტო ბ. რიბეირო, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ჟირმანო კომეში, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ დამთავრდა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების X რესპუბლიკური ოლიმპიადა. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ოლიმპიადის მონაწილეთა დასკვნითი კონცერტი გაიმართა.

ეს იყო გასაოცარი კონცერტი — დაწყების წუთიდან დამთავრებამდე მაყურებელი მოჯადოებული შესცქეროდა სცენას. მრავალფეროვან ნაკადად იღვრებოდა ხალხური ცეკვისა და სიმღერის სტიქია, რომელიც უშრეტი ფანტაზიითა და მგზნებარე ტემპერამენტით იპყრობდა დარბაზს. საუკეთესოთა შორის საუკეთესონი გამოვლინდნენ ხალხური ტალანტების დათვალიერების დროს. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის მოყვარულმა მსახიობებმა ხალხური სიმღერითა და ცეკვით წარმოგვიდგინეს შშობელი ხალხის შორეული წარსული, გადმოსცეს ახალგაზრდული ენთუზიაზმით გამსჭვალული ატმოსფერო, რომლითაც სუნთქავს დღეს საბჭოთა საქართველო.

კონცერტის პროგრამას განსაკუთრებული კოლორიტი შესძინა ნამდვილმა ხალხურობამ, შემსრულებელთა ოსტატობამ, ქართველი ხალხისა და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების სულიერი სიმდიდრის ამსახველმა მრავალფეროვნებამ სიმღერებმა და ცეკვებმა.

მონიშნული სიხარულისა და სიამოვნებისათვის მადლობის ნიშნად მაყურებელი მჭეხარე ტაშით აჯილდოებდა შემსრულებლებს.

შშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითს კონცერტს ესწრებოდნენ ამხანაგები ი. ა. შევარდნაძე, პ. გ. გიოლაშვილი, გ. ნ. ენგიჩიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჭითანავა, ქ. კ. შარტავა. (საქინფორმი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ დასვენების დღე — 1979 წლის 29 დეკემბერი — შაბათი გადმოტანილი იქნეს 31 დეკემბერს — ორშაბათს.

1980
24
თებერვალი
საბჭოთა ხარეთვის
ერთიანობის
დღე

ხალხის დიდი ნდობა

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

(დასასრული)

გაიმართა ზღვისპირეთის მხარის უსურიისკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნარის“ მშრომელთა წინასაარჩევნო კრება. აქ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ანდრია პავლეს ძე კირილენკო** და კოლმეურნეობის ბრიგადირი **იდა ნიკოლოზის ასული ხუხობოკი.**

ვლადიმირის ოლქის ქალაქ კოვროვის ვ. ა. დერტიარიოვის სახელობის ქარხნის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები. წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა დაადგინეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კოვროვის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **დმიტრი თევდორეს ძე უსტინოვი.**

უკრაინის სსრ

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად შჩერბაკოვის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ბორის ევგენის ძე პატონი.** მათი კანდიდატურები დაასახელა კიევის გორკის სახელობის ჩორხ-ავტომატების ქარხნის კოლექტივმა.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ვინიცის ოლქის კრიოპოლის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინაში“. კრების მონაწილეებმა დაადგინეს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კრიოპოლის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** და კოლმეურნეობის მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი **ოლგა თევდორეს ასული დისიაკი.**

ხარკოვის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კრასნოუტსკის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ალექსანდრეს ძე ტიხონოვი** და მარტენის საამქროს მეფოლადე სოციალისტური შრომის გმირი **ალექსი ივანეს ძე ლუგოვსკი.**

დნეპროძერჟინსკის ორჯონიკიძის სახელობის კოქსქიმიური ქარხნის მუშაკთა კრებაზე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაკლეისის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკი.**

საწარმოო გაერთიანება „დონეცკვანაშრირის“ ე. ტ. აბაკუმოვის სახელობის შახტის კოლექტივმა დაადგინა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აბაკუმოვის საარჩევნო ოლქში დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკი** და გამჭოლი კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი **ვლადიმერ ნიკიტას ძე პიხტერევი.**

ბელორუსიის სსრ

საზეიმო ვითარებაში ჩაიარა მინსკის საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშათა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ. კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ავტოქარხნის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და ზენიკალი **ლარისა ათანასეს ასული სმოლიაკოვა.**

გომელის საზომ ხელსაწყოთა ქარხნის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად გომელის პროლეტართა საარჩევნო ოლქში დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** და რადიოაპარატურის ამწყობი ზინაალა სოციალისტური შრომის გმირი **პეტრე ტროფიმეს ძე დემჩენკო.**

უზბეკეთის სსრ

ტაშკენტის გორკის საარჩევნო ოლქში უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და ვ. პ. ჩკალოვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ამწყობი ზეინკალი **ნაზრილა მინაპოვი.** ეს დადგენილება მიიღეს საავიაციო გაერთიანების კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ყარაყალპაყეთის ასს რესპუბლიკის ჩიმბაის რაიონის კ. აუეზოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში. შეკრებილებმა დაადგინეს უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჩიმბაის სასოფლო საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** და ჯამბულის ოლქის „კოტრერეტსკის“ საბჭოთა მეურნეობის სარქველი **შიმან შარიფზანევი.**

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ალმა-ათის ოლქის ბალხაშის რაიონის „ბახბახტინსკის“ მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაკანასის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დინმუხამედ ახმედის ძე კუნაევი.**

ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ვლუბოჩანსკის „შახტმშენის“ სამმართველოს წინასაარჩევნო კრებაზე. ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბელოუსოვის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დინმუხამედ ახმედის ძე კუნაევი** და „შახტმშენის“ სამმართველოს გვიროგბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ხერგი პეტრეს ძე ჩაშჩინი.**

(საკდესი).

საქართველოს სსრ

საზეიმო ვითარებაში ჩაიარა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში წინასაარჩევნო კრებამ, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას. იგი გახსნა საწარმოს პარტიკომი ს. ა. კურტანიძემ.

საამწყობო-გამოსაცდელი საამქროს ელექტრომონტიორმა ვ. ა. გრომოვმა შეკრებილთა ტაშის გრიალში წამოაყენა წინადადება რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის № 257 ავტოქარხნის საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მან დაწვრილებით ილაპარაკა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრების გზაზე, მის უდიდეს წვლილზე ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინური კურსის განხორციელების საქმეში.

საამწყობო-გამოსაცდელი საამქროს ამწყობმა ზეინკალმა გ. ა. ფიერცხალაშვილმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის კანდიდატურას და წამოაყენა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოქტაში დაასახელონ გამომცდელი მძღოლი სოციალისტური შრომის გმირი ბორის ილიას ძე ვაშაკიძე. მან თავისი ამხანაგი დაახასიათა როგორც რესპუბლიკის მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენელი.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ბ. ი. ვაშაკიძის კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს საკონსტრუქტორო-საქსპერიმენტო განყოფილების ბიუროს უფროსმა ა. ა. ბუჯუმამ, ძრავების საამქროს მეხეხვამ ბ. გ. კახაძემ, სიჩქარეთა კოლოფის საამქროს გამმართველმა შ. ა. გიგინეიშვილმა, გამომცდელმა მძღოლმა ე. კ. დეკანოიძემ, საამწყობო-გამოსაცდელი საამქროს უფროსმა გ. ბ. ახალაძემ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ ქუთაისის № 257 ავტოქარხნის საარჩევნო ოლქში **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და **ბორის ილიას ძე ვაშაკიძე.**

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ უდიდესი საზოგადოებრივი მეურნეობაა ზუგდიდის რაიონში. მისი მშრომელები შეიკრიბნენ ადგილობრივ კულტურის სასახლეში, რათა დაესახლებინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავიანთი დეპუტატობის კანდიდატი.

წინასაარჩევნო კრება გახსნა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ზ. ლ. თოდუამ.

სიტყვა ეძლევა ჩაის უხვი მოსავლის ერთ-ერთ ოსტატს, მე-3 ხარისხის შრომითი დიდების ორდენის კავალერს ნ. მ. ღურკაიას.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად № 336 რუხის საარჩევნო ოლქში დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის ამხანაგი ენერგიული და დაინტერესებული ადამიანი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ინიციატორი, ამ ინიციატივის ავტორი, ამ ინიციატივის ავტორი, ამ ინიციატივის ავტ

ხალხური ტალანტების დემონსტრაცია

როცა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა დაიხურა

საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების X რესპუბლიკური ოლიმპიადა დამთავრდა.

— როგორ წარიმართა და საბოლოოდ რა გვიჩვენა ამ მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ? — ამ კითხვით მივმართეთ ოლიმპიადის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. ჩიჩინაშვილს:

— ამჟამინდელი ოლიპიადა,— თქვა მან,—ნათელი გამოხატულება იყო თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განხორციელებისათვის გაწეული მუშაობისა.

ჩვენი მიზანი თვითმოქმედი ხელოვნების მიღწევათა ფართო პროპაგანდა იყო.

უკანასკნელად 1975-77 წლებში მოეწყო შშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი. უახლოეს ხანში გაიმართება მეორე საკავშირო ფესტივალი, რომელზეც ცხადია, საქართველოს თვითმოქმედი კოლექტივებიც ღირსეულად წარდგებიან.

ახლანდელი რესპუბლიკური ოლიმპიადა ყველაზე მეტად თავისი მასშტაბურობითა და რეპერტუარის მრავალფეროვნებით იყო საინტერესო. აღსანიშნავია, რომ ხალხურმა გუნდებმა რამდენიმე კლასიკური მუსიკის ნიმუშიც კი შეასრულეს, წარმოდგენილი იყო მოძმე ხალხთა სიმღერებიც.

სასიხარულოა და მეტად საყურადღებოც, რომ ამ ოლიმპიადაზე უფრო გამოჩნდა სოფლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. მაგალითად, თავი გამოიჩინეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის, ცხაკაიას, მახარაძის რაიონების, მესტიის რაიონის სოფელ ლატალის, თელავის რაიონის სოფელ ართანის, წითელწყაროს რაიონის, ზემო ქედის თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

უნდა აღინიშნოს მონაწილეთა ჩაცმულობა, კოსტიუმების სილამაზე და ნაირფეროვნება. მაყურებელს ამ მხრივაც დაახსომეს თავი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, გურჯაანის, ზუგდიდის, კასპის, ტყიბულის, ჭიათურის, გორის, ახმეტის რაიონებმა.

ყურადღება გამახვილდა ხალხურ ფოლკლორზე და საუკეთესო ნიმუშებიც გამოვლინდა. კერძოდ, ეს ეხებათ თელავის რაიონის სოფელ ართანის, ახალციხის კულტურის სახლის, ახმეტის რაიონის წარმომადგენლებს.

მისასალმებელია, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები — ექიმები, მუშები, მშენებლები, კოლმეურნეები, სტუდენტები, პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. აქღერდა დღემდე უცნობი აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ლატვიური სიმღერები.

უახლოეს დღეებში ოლიმპიადის ჟიური შეაფასებს შედეგებს და გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით.

ოლიმპიადის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ხალხურ ცეკვებს. მათ სიავკარგეზე გვესაუბრება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. ხუხიშვილი:

— ამ ოლიმპიადაზე ძალზე მომზადებული მოვიდნენ მოცეკვავეთა ანსამბლები განსაკუთრებით დასახსომებელი იყო აჭარელთა ცეკვები, კერძოდ ხულოს რაიონის მოცეკვავეთა მიერ შესრულებული „ხორუმი“ ჭიბონზე, ქობულეთელთა „ხორუმი“ და „გადაგანა“, აფხაზეთიდან — ცეკვა „ქართული“, რომელიც მშვენივრად შეასრულეს ახალგაზრდა მოცეკვავეებმა მ. კაკაბაძემ და მ. დავითაიამ.

ფოლკლორული ცეკვებიდან ახმეტამ წარმოადგინა „ქისტების ცეკვა“, ხოლო მესტიისა და ლენტეხის რაიონებმა ძველი სვანური ცეკვები.

თავი ისახელეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა-მოცეკვავეებმა.

წინა ფესტივალებისაგან განსხვავებით წლეულს რესპუბლიკის ქოროეოგრაფიულმა კოლექტივებმა მაღალ დონეზე წარმოადგინეს როგორც ძველი ხალხური, ისე თანამედროვე თემებზე შექმნილი ცეკვები.

საერთოდ კი რესპუბლიკის მშრომელთა ეს დიდი დღესასწაული ხალხური ტალანტების ნამდვილი დემონსტრაცია იყო.

საუბარი ჩაიწერა

ლ. ქინქლაძემ.

ფოტოაპპარატით ოლიმპიადაზე

ოლიმპიადის დასკვნითს საღამოზე კიდევ ერთხელ გაიელვეს სცენაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

სურათებზე: სცენაზე არიან ახალციხის რაიონული კულტურის სახლის მოცეკვავეები; ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პროფკავშირთა საქმიანობის საბრძოლო პროგრამა

19 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი, რომლის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგები და მზად არიან უთუოდ დამამთავრებელ წელს მეექვსე დამკვრელურად, ლენინურად. პლენუმზე განხილეს პროფკავშირთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამოსვლაში გამოთქმული დებულებებისა და დასკვნების შესასამასად.

მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა.

პროფკავშირთა უპირველესი ამოცანაა, ითქვა პლენუმზე, ყურადღება გაამახვილონ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაზე, დარაზმონ შრომითი კოლექტივები 1980 წლისა და მთლიანად უთუოდ დიალუბთა წარმატებით შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

